კითხვაში ჩამორჩენილ მოსწავლეთა პრობლემები და ეფექტური ინტერვენციები N156-ე სკოლის მაგალითზე

მაკა ბიბლაია

თინათინ ლარცულიანი

მაყვალა მენთეშაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ლობჟანიძე, ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: ირინა სამსონია,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაკა ბიბლაია

თინათინ ლარცულიანი

მაყვალა მენთეშაშვილი

26/06/2017

მადლობა

მადლობას ვუხდით თითოეულ ადამიანს, ვინც დაგვეხმარა პრაქტიკის კვლევის განხორციელებაში.

პირველ რიგში, მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართულ ქალაქ თბილისის N156 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნინო ბეგლარაშვილს, თანამკვლევარ მასწავლებელს ქალბატონ ლელა ლობჟანიძეს და ამავე სკოლის ექსპერიმენტული და საკონტროლო კლასების მოსწავლეებს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი პრაქტიკის კლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ქ-ნ სოფიკო ლობჟანიძეს და თანახელმძღვანელს ქ-ნ ირინა სამსონიას თანადგომისა და კვლევის განმავლობაში გაწეული დახმარებისათვის.

მადლობას ვუხდით, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამჭოლი კომპეტენციების ხელმძღვანელს ქ-ნ ნათია ნაცვლიშვილს, ინტერვენციების შერჩევის ეტაპზე გაწეული კონსულტაციისთვის.

მადლობას ვუხდით, ქალაქ თბილისის N81 და N82 საჯარო სკოლების ადმინისტრაციას, იმისათვის, რომ მოგვცეს საშუალება გამოგვეცადა დიაგნოსტირების ინსტრუმენტი სამიზნე კლასებში შეტანამდე.

შინაარსი

აბსტრაქტი ……....1

შესავალი ……...3

1. **ლიტერატურის მიმოხილვა** 4

1.1. წიგნიერება და საქართველო 4

1.1.1. რას გულისხმობს წიგნიერების ცნება 4

1.1.2. საერთაშორისო კვლევები და საქართველო 5

1.2. რას გულისხმობს კითხვა, როგორც პროცესი 6

1.2.1. სკოლა და მკითხველთა ტიპები 8

1.3. მასწავლებლის როლი წიგნიერების დონის ამაღლებაში 11

1.3.1. დიფერენცირებული მიდგომა და სასწავლო პროცესი 12

1.3.2. რა როლს ასრულებს მასწავლებელი მოსწავლეების წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბებაში 13

2. კვლევის მეთოდოლოგია 14

2.1. პრობლემის იდენტიფიცირება 14

2.1.1. სიღრმისეული ინტერვიუ მასწავლებელთან მიზანი და შედეგი ..……..15

2.1.2. აღწერითი და ფოკუსირებული დაკვირვება საგაკვეთილო პროცესზე, მიზანი და შედეგი 18

2.1.3. კორელაცია მასწავლებლის სიღრმისეულ ინტერვიუსა და დაკვირვებებს შორის.....19

2.1.4. კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები 20

2.2. დიაგნოსტირების ეტაპი 20

2.2.1. დიაგნოსტირების განხორციელება სამიზნე ჯგუფებში 22

2.2.2. პრე-ტესტები და ძირითადი მიგნებები 22

2.2.3. საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება და მიღებული შედეგების ანალიზი 23

2.2.4. საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების შედეგების შედარებითი ანალიზი საკონტროლო და ექსპერიმენტულ კლასებს შორის 24

2.2.5. მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება და მიღებული შედეგების ანალიზი.....25

2.2.6. მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების შედეგების შედარებითი ანალიზი საკონტროლო და ექსპერიმენტულ კლასებს შორის 26

2.2.7. ლექსიკის ცოდნის შესამოწმებელი ტესტი და მიღებული შედეგების ანალიზი 26

2.2.8. ლექსიკური ცოდნის შესამოწმებელი ტესტის შედეგების შედარებითი ანალიზი საკონტროლო და ექსპერიმენტულ კლასებს შორის 27

2.3. ინტერვენციების განხორციელების ეტაპი 28

2.3.1. ინტერვენციების შერჩევის საფუძველი 28

2.3.2. ინტერვენციების განხორციელება და ძირითადი მიგნებები 28

2.4. პოსტ-ტესტის შედეგები და ანალიზი 41

2.4.1. საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება და მიღებული შედეგების ანალიზი 42

2.4.2. საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების შედეგების შედარებითი ანალიზი ექსპერიმენტულ და საკონტროლო კლასებს შორის 43

2.4.3. მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება და მიღებული შედეგები 43

2.4.4. მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების შედეგების შედარებითი ანალიზი საკონტროლო და ექსპერიმენტულ კლასებს შორის 44

2.4.5. ლექსიკის ცოდნის შესამოწმებელი ტექსტი და მიღებული შედეგები 44

2.4.6. ლექსიკის ცოდნის შესამოწმებელი ტესტის შედეგების შედარებითი ანალიზი საკონტროლო და ექსპერიმენტულ კლასებს შორის 45

2.4.7. მოსწავლეთა ინდივიდუალური მონაცემები ინტერვენციებამდე და ინტერვენციების შემდგომ 46

2.4.8. საბოლოო მონაცემების შედარება პრე და პოსტ-ტესტირების შემდგომ 46

კვლევის შეზღუდვები 47

რეკომენდაციები 48

დასკვნა 50

ბიბლიოგრაფია 51

დანართები 53

დანართი #1 - მასწავლებელთან სიღრმისეული ინტერვიუს პროტოკოლი 53

დანართი #2 - აღწერითი და ფოკუსირებული დაკვირვების რუბრიკა 54

დანართი #3 - საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების შესამოწმებელი ტესტი და შეფასების რუბრიკა 56

დანართი #4 - მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების შესამოწმებელი ტესტი და შეფასების რუბრიკა 65

დანართი #5 - ლექსიკის ცოდნის შესამოწმებელი ტესტი და შეფასების რუბრიკა.....79

დანართი #6 - ინტერვენციების მეთოდოლოგიური აღწერა 86

დანართი #7 - პირველი ინტერვენცია გეგმა 95

დანართი #8 - მეორე ინტერვენცია გეგმა 99

დანართი #9 - მესამე ინტერვენცია გეგმა 101

დანართი #10 - მეოთხე ინტერვენცია გეგმა 103

დანართი #11 - მეხუთე ინტერვენცია გეგმა 107

დანართი #12 - მეექვსე ინტერვენცია გეგმა 111

დანართი #13 - მეშვიდე ინტერვენცია გეგმა 119

დანართი #14 - მერვე ინტერვენცია გეგმა 125

დანართი #15 - პრე და პოსტ-ტესტირების შედეგები ექსპერიმენტულ და საკონტროლო კლასებში 129

დანართი #16 - მოსწავლეთა ინდივიდუალური მონაცემები, პრე-ტესტი.....130

დანართი #17 - მოსწავლეთა ინდივიდუალური მონაცემები, პოსტ-ტესტი 133

დანართი #18 - პრე და პოსტ-ტესტირების შედეგები 136

დანართი #19 - პრე და პოსტ-ტესტირებისას კითხვებზე გაცემული პასუხების შედარებითი მონაცემები 139

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე ,,კითხვაში ჩამორჩენილ მოსწავლეთა პრობლემები და ეფექტური ინტერვენციები ქალაქ თბილისის N156 საჯარო სკოლის მაგალითზე“, პრაქტიკის კვლევის მიზანია ეფექტური ინტერვენციების გამოყენებით, კითხვის პრობლემის მქონე მოსწავლეებში წიგნიერების დონის გაუმჯობესება ქ. თბილისის N156 საჯარო სკოლის VII³ კლასში. საკვლევი თემის შერჩევა განაპირობა კითხვის უნართან დაკავშირებულმა პრობლემის სიმწვავემ, რომელიც ამავდროულად გავლენას ახდენს სხვა სასკოლო დისციპლინებში მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე.

პრაქტიკის კვლევა მოიცავდა პერიოდს 2016 წლის 26 დეკემბრიდან 2017 წლის 6 ივნისამდე. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი არის პრაქტიკის კვლევა. ინტერვენციების ეფექტურობისა და სანდოობის მიზნით გამოვიყენეთ ექსპერიმენტული კვლვის მეთოდი და კვლევაში ჩავრთეთ საკონტროლო, ამავე სკოლის VII¹ კლასი. აღნიშნული მეთოდის გამოყენება გვაძლევს ორ მოცემულობას, რომელთა შედარების საფუძველზე შესაძლებელია ჩარევის შედეგად მიღებული ცვლილების დანახვა.

საკითხის საფუძვლიანად შესასწავლად კვლევის პროცესში გამოვიყენეთ როგორც თვისებრივი, ასევე რადენობრივი მეთოდი. თვისებრივი მეთოდი მოიცავდა ზოგად დაკვირვებას საგაკვეთილო პროცესზე და მასწავლებლის მიერ გამოყენებულ მეთოდებზე. ასევე განვახორციელეთ სიღრმისეული ინტერვიუ კვლევაში ჩართულ მასწავლებელთან. რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან გამოვიყენეთ პრე და პოსტ-ტესტი.

კვლევის საბოლოო შედეგები გვაძლევს საშუალებას, ჩვენ მიერ განხორციელებული ინტერვენციები შეფასდეს დადებითად, ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეების პირვანდელი მონაცემები მნიშვნელვნად გაუმჯობესდა. რაც თავის მხრივ ხაზს

უსვამს ინტერვენციების ეფექტურობასა და კითხვის უნარის გაუმჯობესებას ექსპერიმენტულ კლასში. ამის დასტურია საკონტროლო კლასის მოსწავლეების შედეგების შედარება ექსპერიმენტულ კლასთან.

საკვანძო/თემატური ტერმინები: **წიგნიერება, ხმამაღალი კითხვა, გააზრებული კითხვა, ლექსიკა, ტროპული მეტყველება.**